2013

საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა

შეჯამება

2013 წლის სტატისტიკური ანგარიში მიმოიხილავს ტურიზმის სექტორში არსებულ სტატისტიკურ მონაცემებს და ტენდენციებს, ასევე ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის აქტივობებს ტურიზმის ხელის შეწყობის მიზნით და საქართველოს ადგილს საერთაშორისო ტურისტულ რეიტინგებში.

2010 წლიდან საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ეკონომიკის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირია და მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებასა და ტურიზმის ინდუსტრიის როლის გაზრდაში. ადმინისტრაციის მიზნებია საქართველოში ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბება და განხორციელება, მდგრადი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, ტურიზმის განვითარების საფუძველზე ქვეყანაში მაღალი საექსპორტო შემოსავლების ზრდისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა.

სტატისტიკური მონაცემებით, 2013 წელს საქართველოში ტურიზმის ინდუსტრიის მდგომარეობა მზარდია. ამ წელს საერთაშორისო შემოსვლების რაოდენობა საქართველოში 22%-ით გაიზარდა და პირველად გადააჭარბა ხუთ მილიონს. საქართველოში ხუთმემილიონე ვიზიტორს სპეციალური პრიზი გადაეცა.

ტურიზმში მაღალი ზრდის ტემპი საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ანგარიშის, „UNWTO World Tourism Barometer" (დეკემბერი, 2013), თანახმად საქართველოში საერთაშორისო შემოსვლების ზრდა ევროპაში ყველაზე მაღალ პროცენტიან მატებად შეფასდა.

შიდა და საერთაშორისო ტურიზმი მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოს ეკონომიკაში. უცხოელი ვიზიტორების დანახარჯებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს საქართველოს საგადამხდელო ბალანსზე. საქართველოს სერვისის ექსპორტის შემოსავლიდან დაახლოებით 58% ტურიზმზე მოდის. საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავლები ზრდადი ტენდენციით გამოირჩეოდა, შედეგად 2013 წელს მისმა რაოდენობამ 1.72 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა. მიუხედავად იმისა, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის წილი 2008 წელს გლობალური ფინანსური კრიზისის გამო შემცირდა, მას შემდეგ მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენცია დაფიქსირდა და 2013 წელს მან მშპ-ს 6.5% შეადგინა.

2013 წელს საქართველოში 1,065 განთავსების საშუალება იყო, 15,967 ოთახით და 37,317 ადგილით. განთავსების საშუალებების მნიშვნელოვან ნაწილს სასტუმროები წარმოადგენენ, რომელთა რაოდენობა 418-ს შეადგენდა, 10,801 ოთახით და 23,904 ადგილით. სხვა ტიპის განთავსების საშუალებების რაოდენობამ 647 შეადგინა და მოიცვა 5,166 ოთახი და 13,413 ადგილი.

2013 წლის მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენციის ინდექსის თანახმად, საქართველოს ტურისტული კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე 2011 წელთან შედარებით (73-ე პოზიცია) შვიდი პოზიციით გაიზარდა და 140 ქვეყანას შორის 66-ე ადგილი დაიკავა (ქულა: 4.10). გარდა ამისა, „Rough Guides" თანახმად, საქართველო მეხუთე ადგილს იკავებს ათ საუკეთესო მოსანახულებლად რეკომენდირებულ ქვეყნებს შორის და ტურისტულად ისეთი განვითარებული ქვეყნების შემდეგ გვხდება, როგორიცაა ბრაზილია და თურქეთი. საქართველო წარმატებული იყო საერთაშორისო ურთიერთობებშიც და არჩეულ იქნა მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ევროპის რეგიონალური კომისიის თანათავმჯდომარედ და ტურიზმის სატელიტური ანგარიშების კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტად. საქართველო გახდა ICCA-ს (International Conference and Congress Association) წევრი.

ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების პერსპექტივა ძალიან ოპტიმისტურია. მომავალ წლებში პროგნოზირებენ, რომ ინდუსტრია შექმნის უფრო მეტ სამუშაო ადგილს და მიიღებს მეტ შემოსავალს. საქართველოს მთავრობისა და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ერთობლივი საქმიანობის შედეგად საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა არის მოსალოდნელი.

საქართველოში საერთაშორისო მოგზაურების გასაზრდელად ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ განხორციელებულ აქტივობებს შორისაა: ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარება, საქართველოში საერთაშორისო მოგზაურობის გამარტივება, სერვისის ხარისხის გაუმჯობესება, საქართველოს ცნობადობის ამაღლება, მარკეტინგული აქტივობების იმპლემენტაცია, როგორც საერთაშორისო, ისე შიდა ბაზრებზე და ტურისტული პროდუქტების განვითარება.

იმედი გვაქვს, რომ ეს პუბლიკაცია გახდება ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყარო, რომელსაც ხშირად მოუბრუნდებით.

საერთაშორისო შემოსვლები

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოში საერთაშორისო შემოსვლების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა. 2013 წელს მათმა რიცხვმა 5,392,303-ს მიაღწია (ზრდა 22%). ყველაზე მაღალი ზრდის ტემპი კი 2012 წელს აღინიშნა (ზრდა 57%).

ვიზიტების საერთო რაოდენობის 38%-მა 24 საათზე მეტ ხანს გასტანა, 40% ერთდღიან ვიზიტებს შეადგენდა, ხოლო ვიზიტების 22% ტრანზიტის მიზნით განხორციელდა.

ბოლო ხუთი წლის ზრდის ტემპების შედარება აჩვენებს, რომ საერთაშორისო შემოსვლები საქართველოში უფრო სწრაფად გაიზარდა, ვიდრე დანარჩენ მსოფლიოში. 2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისის დროსაც კი, როდესაც მთელ მსოფლიოში ვიზიტების რაოდენობა დაეცა, საქართველოში ვიზიტები 23%-ით გაიზარდა. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ანგარიშის "UNWTO World Tourism Barometer" (დეკემბერი, 2013) თანახმად, საქართველოში საერთაშორისო შემოსვლების რაოდენობა ევროპაში ყველაზე მაღალ მაჩვენებლად იქნა აღიარებული.

ბოლო წლების სტატისტიკის თანახმად, საერთაშორისო მოგზაურებს შორის ყველაზე პოპულარული ზაფხულის სეზონია, 1,880,515 ვიზიტით (ივნისი: 490,796; ივლისი: 613,604; აგვისტო: 776,115), რაც მთლიანი შემოსვლების 35%-ს შეადგენს.

საერთაშორისო შემოსვლების უმეტესი წილი, 88% (4,732,529), მეზობელი ქვეყნებიდან განხორციელდა, მხოლოდ 12% შემოვიდა სხვა ქვეყნებიდან. წლის ლიდერი თურქეთია 1,597,438 საერთაშორისო ვიზიტით (ზრდა 4%). აღსანიშნავია ვიზიტების რაოდენობის ზრდა რუსეთის ფედერაციიდან, რაც სავიზო რეჟიმის გაუქმებითა და პირდაპირი საჰაერო მიმოსვლითაც არის განპირობებული. 2013 წელს ზრდა 49%-ს შეადგენს. მატების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თებერვალსა (138%) და მარტში (103%) აღინიშნა. ვიზიტების მნიშვნელოვანი ზრდა შეიმჩნევა პოლონეთიდან (80%) და უკრაინიდან (66%), რაც ქუთაისის აეროპორტიდან Wizz Air-ის მიერ პოლონეთის მიმართულებით ფრენების დანიშვნით და უკრაინის მიმართულებით ფრენების დამატებითაა გამოწვეული. ასევე მნიშვნელოვანია ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული მარკეტინგული კამპანიები.

2013 წელს ერაყის მიმართულებით პირდაპირი ავიარეისის დანიშვნით ერაყელი ვიზიტორების რიცხვმა 41,239-ს მიაღწია (ზრდა 494%).

ევროკავშირის ქვეყნებიდან ვიზიტების რაოდენობამ 2013 წელს 208,754 შეადგინა. ევროპელი მოგზაურების წილი მთლიან რაოდენობაში 4%-ია, ხოლო ზრდა წინა წელთან შედარებით 22%-ს შეადგენს.

საქართველოში საერთაშორისო შემოსვლების უმრავლესობა 87% (4,699,387) სახმელეთო ტრანსპორტის მეშვეობით განხორციელდა, მას მოსდევს საჰაერო ტრანსპორტი 585,701 (11%). საზღვაო და სარკინიგზო გზით შემოსვლებს კი თითქმის თანაბარი წილი ჰქონდათ, შესაბამისად 44,239 (1%) და 62,976 (1%). ყველაზე დატვირთული საზღვარი არის სარფი 1,605,666 ვიზიტით (მთლიანი საზღვრის კვეთების 30%). მას მოსდევს 17%-ით სადახლო და წითელი ხიდი 16%-ით.

ძირითადი ინფორმაცია
საერთაშორისო შემოსვლების სტატისტიკა მოწოდებულია საქართველის შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ.

მეთოდოლოგია
საერთაშორისო შემოსვლების სტატისტიკა აღწერს შემომყვანი მოგზაურების დინამიკას, რომლებიც 19 სასაზღვრო გამშვები პუნქტის საშუალებით შემოვიდა.

სასაზღვრო გამშვები პუნქტების სია მოცემულია ქვემოთ:
საჰაერო: თბილისის საერთაშორისო აეროპორტი, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი.

საზღვაო: ფოთის პორტი, ბათუმის პორტი, ყულევის პორტი.

სახმელეთო: თბილისი, ახკერპი, გუგუთი, ვალე, ვახტანგისი, ნინოწმინდა, სადახლო (საჰაერო და სარკინიგზო სასაზღვრო პუნქტები), სარფი, ყაზბეგი, ცოდნა, წითელი ხიდი, გარდაბანი, სამთაწყარო, ყულევი.

ძირითადი გამოქვეყნებული ინდიკატორები
საერთაშორისო შემოსვლები ეროვნებების, საზღვრების და საზღვრის ტიპების მიხედვით. 24 საათზე მეტი და ნაკლები დროით განხორციელებული ვიზიტები, სატრანზიტო მიზნით განხორციელებული ვიზიტები.

საერთაშორისო შემოსვლები ტიპების მიხედვით

	2010	2011	2012	2013	ცვლილება (2012-2013) %	
ჯამი	2,031,717	2,822,363	4,428,221	5,392,303	964,082	22%
მათ შორის	⬇	⬇	⬇	⬇	⬇	⬇
24 საათი და მეტი	1,067,338	1,318,968	1,789,592	2,065,296	275,704	15%
ერთდღიანი ვიზიტი	695,767	1,011,990	1,883,670	2,138,216	254,546	14%
ტრანზიტი	268,612	491,405	754,959	1,188,791	433,832	57%

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საერთაშორისო შემოსვლები წლების მიხედვით



წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საერთაშორისო შემოსვლები რეგიონების მიხედვით

რეგიონი	2012	2013	ცვლილება	%
ჯამი	4,428,221	5,392,303	964,082	22%
ევროპა	4,225,635	5,168,046	942,411	22%
ამერიკა	33,898	32,593	-1,305	-4%
აღმოსავლეთ აზია/ წყნარი ოკეანის რეგიონი	123,987	121,649	-2,338	-2%
აფრიკა	7,110	5,024	-2,086	-29%
შუა აღმოსავლეთი	17,141	63,063	45,922	268%

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საერთაშორისო შემოსვლები თვეების მიხედვით



წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო



წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საერთაშორისო შემოსვლები, პირველი 15 ქვეყანა

ქვეყანა	2012	2013	ცვლილება	%
თურქეთი	1,533,236	1,597,438	64,202	4%
სომხეთი	921,929	1,291,838	369,909	40%
აზერბაიჯანი	931,933	1,075,857	143,924	15%
რუსეთი	513,930	767,396	253,466	49%
უკრაინა	76,610	126,797	50,187	66%
ირანი	89,697	85,598	-4,099	-5%
ერაყი	6,947	41,239	34,292	494%
ისრაელი	30,851	39,922	9,071	29%
პოლონეთი	20,563	36,946	16,383	80%
გერმანია	26,448	30,815	4,367	17%
ა.შ.შ.	28,513	26,713	-1,800	-6%
საბერძნეთი	19,777	22,024	2,247	11%
ყაზახეთი	15,115	21,148	6,033	40%
დიდი ბრიტანეთი	14,805	16,672	1,867	13%
საფრანგეთი	12,004	14,239	2,235	19%

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საერთაშორისო შემოსვლები საზღვრების მიხედვით

სასაზღვრო პუნქტი	მოსაზღვრე ქვეყანა	2012	2013	ცვლილება	%
ჯამი	⬇	4,428,221	5,392,303	964,082	22%
მათ შორის	⬇	⬇	⬇	⬇	⬇
სარფი	თურქეთი	1,550,123	1,605,666	55,543	4%
სადახლო	სომხეთი	635,518	922,891	287,373	45%
წითელი ხიდი	აზერბაიჯანი	748,502	851,202	102,700	14%
ყაზბეგი	რუსეთი	401,805	701,302	299,497	75%
თბილისის აეროპორტი	.....	378,947	462,184	83,237	22%
ცოდნა	აზერბაიჯანი	179,623	211,333	31,710	18%
ნინოწმინდა	სომხეთი	195,401	209,920	14,519	7%
ვალე	თურქეთი	92,568	129,474	36,906	40%
ქუთაისის აეროპორტი	.....	4,145	68,568	64,423	1554%
ბათუმის აეროპორტი	.....	46,272	54,975	8,703	19%
სადახლოს რკინიგზა	აზერბაიჯანი	39,015	36,245	-2,770	-7%
ვახტანგისი	სომხეთი	33,543	34,489	946	3%
გუგუთი	სომხეთი	34,931	32,278	-2,653	-8%
გარდაბნის რკინიგზა	აზერბაიჯანი	24,643	26,731	2,088	8%
ბათუმის პორტი	.....	21,483	22,712	1,229	6%
ფოთის პორტი	.....	38,352	19,006	-19,346	-50%
ყულევის პორტი	.....	2,332	2,521	189	8%
სამთაწყარო	აზერბაიჯანი	382	411	29	8%
ახკერპი	სომხეთი	636	395	-241	-38%

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

ტურიზმი, ეკონომიკის მნიშვნელოვანი სექტორი

მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრია მომსახურების სექტორებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი და სწრაფად მზარდია მთელ მსოფლიოში. მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს (WTTC) მონაცემებით, 2013 წელს ამ დარგის პირდაპირმა კონტრიბუციამ მთლიან მშპ-ში 2.2 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა (მშპ–ს 2.9%) და ხელი შეუწყო 101 მილიონი სამუშაო ადგილის შექმნას. მისი პირდაპირი და გვერდითი ეფექტების მხედველობაში მიღების შემდეგ, აღნიშნული სექტორის წვლილი მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში შემდეგია: მსოფლიოს მშპ-ს 9.5%, ერთი ადგილი ყოველი 11 სამუშაო ადგილიდან, 4.4% მთლიან განხორციელებულ ინვესტიციებსა და 5.4% მსოფლიოს მთლიან ექსპორტში (Economic Impact of Travel and Tourism 2014, Annual Update,WTTC).

ტურიზმი-უხილავი ექსპორტი

უცხოელი ვიზიტორების დანახარჯებს ქვეყანაში დიდი გავლენა აქვს საქართველოს საგადამხდელო ბალანსზე. დაახლოებით 58% საქართველოს სერვისის ექსპორტის შემოსავლებიდან ტურიზმზე მოდის. აქტივების მხარეს საგადამხდელო ბალანსი აღწერს საქართველოს შემოსავალს უცხოური ვიზიტორების მოგზაურობიდან საქართველოში, ხოლო ვალდებულების მხარეს აჩვენებს საქართველოს რეზიდენტების დანახარჯებს საზღვარგარეთ ყოფნის დროს.

2013 წელს შემოსავალი უცხოური ტურიზმიდან საქართველოში შეადგენდა 1.72 მილიარდ დოლარს (ზრდა 22%), ხოლო საქართველოს მოქალაქეების დანახარჯებმა უცხოურ ტურიზმზე 0.29 მილიარდი დოლარი შეადგინა. (ზრდა 15%). შედეგად, უცხოური ტურიზმის ბალანსი საქართველოში შეადგენდა 1.43 მილიარდ დოლარს (ზრდა 23%).

დასაქმების მოდული ტურიზმში

2013 წლის მეოთხე კვარტალში დასაქმებული ადამიანების რაოდენობამ ტურიზმში 168.8 ათასი შეადგინა. ყველაზე დიდი წილი დასაქმებულია ტრანსპორტის სექტორში (57%) და სასტუმროებსა და რესტორნებში (20%). დასაქმება ამ უკანასკნელში გაიზარდა 17%-ით, ტრანსპორტში კი 6%-ით. მთლიანობაში დასაქმების შემცირება 6%-ია, რაც გამოწვეულია ტურიზმის სხვა სექტორებში ამ მაჩვენებლის კლებით. 2012 წელს ტურიზმში დასაქმების კონტრიბუცია მთლიან დასაქმებაში შეადგენდა 10%-ს.

ტურიზმის წილი ეკონომიკაში

2013 წელს მთლიანმა დამატებულმა ღირებულებამ 1.5 მილიარდ ლარს მიაღწია გაზრდილი მოთხოვნის გამო (ზრდა 10%). შედეგად, ტურიზმის წმინდა დამატებითი ღირებულება, როგორც მშპ-ს წილი, 6.1%-დან 6.5%-მდე გაიზარდა. 2013 წელს ტურიზმის სექტორში დამატებითი ღირებულება ძირითადად შეიქმნა განთავსების საშუალებებში (ზრდა 13%), და ტრანსპორტში (საჰაერო ტრანსპორტი ზრდა 28%, სხვა ტრანსპორტი ზრდა 3%).

ძირითადი გამოქვეყნებული ინდიკატორები

1. ტურიზმის წილი მთლიან შიდა პროდუქტში
2. ტურიზმის წილი მთლიან გამოშვებაში
3. მთლიან დასაქმებულთა რაოდენობა ტურიზმში
4. უცხოური ვალუტის შემოსავალი უცხოური ტურიზმიდან
5. უცხოური ვალუტის დანახარჯები უცხოურ ტურიზმზე
6. უცხოური ტურიზმის ბალანსი

უფრო დეტალური ინფორმაცია ტურიზმის ეკონომიკაზე კონტრიბუციის, შემოსავალსა და დასაქმებაზე იხილეთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის **http://geostat.ge/** საქართველოს ეროვნული ბანკისა **www.nbg.gov.ge** და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საიტზე **http://gnta.ge/**



ტურიზმის წილი მშპ-ში



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან 2006-2013 (ათასი დოლარი)

	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
სულ	312570.9	383745.8	446646	475889	659245.3	954908.5	1410901.7	1719699.8
მათ შორის	↓	↓	↓	↓	↓	↓	↓	↓
I.კვ.	58597.2	63889.6	85434.3	77676.3	100685.8	163989.8	235930.4	302817.7
II. კვ.	82760.9	90174.2	132430.9	114353.3	136565.1	222249.6	330826.5	426524.5
III.კვ.	101743	129086.9	125883.1	158388.4	231913.4	326568.5	487721.4	604201.8
IV. კვ.	69469.8	100595.1	102897.6	125470.9	190081	242100.6	356423.4	386155.8

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საავიაციო ბაზარი

საქართველოს საავიაციო ბაზარი ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ზრდის ტემპით გამოირჩეოდა. საქართველოში სამი საერთაშორისო და ერთი შიდა აეროპორტი ფუნქციონირებს, რომლებიც სრულად შეესაბამება საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციის (ICAO) სტანდარტებს. საქართველოს საავიაციო ბაზარი უმეტეს წილად საერთაშორისოა; ფრენების ძირითადი ნაწილი თბილისის საერთაშორისო აეროპორტზე მოდის.

თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტებს მართავს თურქული კომპანია TAV Airports Holding Co. აეროპორტებმა ფუნქციონირება შესაბამისად 2007 წლის თებერვალში და მაისში დაიწყეს. მესტიის თამარ მეფის სახელობის აეროპორტი ოფიციალურად 2011 წელს გაიხსნა. თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აერპორტების გამტარუნარიანობა 2,000 და 300 მგზავრი/საათია შესაბამისად. რაც შეეხება მესტიის საერთაშორისო აეროპორტს, მისი დატვირთვა არის 100 მგზავრი/საათში. 2012 წლის სექტემბერში ქუთაისში გაიხსნა კოპიტნარის საერთაშორისო აეროპორტი. პირველი ავიარეისი უნგრულმა ავიაკომპანია Wizz Air-მა კიევის მიმართულებით შეასრულა. კომპანია მესამე დაბალბიუჯეტიანი გადამზიდავია საქართველოს ბაზარზე Pegasus-ის და FlyDubai-ის შემდეგ.

ავიახაზები

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს თანახმად, Turkish Airlines არის უმსხვილესი კომპანია, რომელიც საქმიანობს საქართველოს საავიაციო ბაზარზე და მას მგზავრების ყველაზე დიდი რაოდენობა ჰყავს. 2013 წელს ამ კომპანიის მიერ გადაყვანილი მგზავრების რაოდენობამ 327,912 (19%) შეადგინა. Georgian Airways არის სიდიდით მეორე გადამყვანი კომპანია 208,641 (12%) მგზავრით. მგზავრობის რაოდენობით მას მოსდევს Pegasus - 165,244 (9%); Ukraine International Airlines - 161,168 (9%); Wizz air – 126,038 (7%); Belavia – 95,605 (5%) და Siberia Airlines (S7) – 88,283 (5%).

ორი ავიაკომპანია: Georgian Airways და Siberia Airlines მგზავრებს სთავაზობს ჩარტერულ რეისებს მოსკოვის მომართულებით. რუსეთის ფედერაციიდან საქართველოს საავიაციო ბაზარზე ახალი ავიაკომპანიების შემოსვლა მოლაპარაკებების პროცესშია.

2013 წელს ახალმა თურქულმა ავიაკომპანიამ, Atlasjet international, დაიწყო ყოველდღიური ფრენები სტამბული-თბილისი-სტამბულის მიმართულებით. 2014 წლის ზაფხულიდან ეს კომპანია ასევე დაიწყებს პირდაპირ ფრენებს თბილისი-ანტალია-თბილისის მიმართულებით. 2013 წელს ერაყულმა ავიაკომპანიამ, Al Naser Airlines, დაიწყო რეგულარული ფრენების განხორციელება თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან. ამ უკანასკნელმა თბილისიდან სამი მიმართულებით დაიწყო ფრენა. რეისები: ნაჯაფი-თბილისი, ბასრა-თბილისი და ბაღდადი-თბილისი ხორციელდება ხუთჯერ კვირაში დღის საათების განმავლობაში.

პირველი რეისი ნაჯაფის მიმართულებით საქართველოში ჩამოფრინდა 2013 წლის 4 ივლისს, და მან თბილისის აეროპორტში კომპანიის მენეჯმენტი ჩამოიყვანა.

24 საერთაშორისო და ერთი შიდა ავიაკომპანია სთავაზობს მგზავრებს კომფორტულ ფრენებს საქართველოდან.

ეს წელი გამოწვევებით სავსე იქნება საქართველოს საავიაციო ინდუსტრიისთვის, რადგან ახალი ავიაკომპანიები აპირებენ ბაზარზე შემოსვლას, ბევრი მოქმედი კომპანია გამოხატავს ფრენის სიხშირის გაზრდის ინტერესს.

საქართველოში მოქმედი ძირითადი ავიაკომპანიებია: Turkish Airlines, Georgian Airways, Ukraine International Airlines, Pegasus, Belavia, S7, Lufthansa, Qatar Airways, Fly Georgia, Air Astana, Fly Dubai, LOT, Air Baltic, Ata Airlines, Azerbaijan Airlines და სხვა.

+18%
13,999
რეისები

+31%
1,833,807
მგზავრები

მოიცავს შემდეგ აეროპორტებს:
თბილისის საერთაშორისო აეროპორტი, ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი, მესტიის თამარ მეფის სახელობის აეროპორტი.

ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი


ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი

თბილისის საერთაშორისო აეროპორტი

თბილისის საერთაშორისო აეროპორტი: ავიაკომპანიების წილები



წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო



წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

ახალი ფრენები საქართველოდან 2013

ავიახაზები	ფრენა	სიხშირე
Atlasjet Airlines	თბილისი - სტამბული	ყოველდღიური
Al Naser Airlines	თბილისი - ბაღდადი თბილისი - ბასრა* თბილისი - ნაჯაფი*	ორჯერ კვირაში
Iraqi Airways	თბილისი - ბაღდადი ბათუმი - ბაღდადი*	ერთხელ კვირაში
Air Onix	თბილისი - სიმფეროპოლი*	ორჯერ კვირაში
Travel Service	ბათუმი - ვარშავა*	ერთხელ კვირაში
ISRAIR	თბილისი - თელავივი*	ერთხელ კვირაში
Wizz Air	ქუთაისი - ვარშავა ქუთაისი - კატოვიცე	ორჯერ კვირაში

წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

შენიშვნა: * = ამჟამად არ არის ფრენა.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტი: მგზავრები და ფრენები



წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი: მგზავრები და ფრენები



წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი: მგზავრები და ფრენები



წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

საერთაშორისო ვიზიტორების მახასიათებლები, 2013

საერთაშორისო ვიზიტების 60.3% მინიმუმ ერთ ღამისთევას მოიცავდა, ხოლო 39.7% იყო ერდღიანი ვიზიტები.

მთლიანი ვიზიტების 69% განმეორებით განხორციელდა საქართველოში და 31% პირველი ვიზიტი იყო. მეზობელი ქვეყნების ვიზიტორების უმრავლესობა საქართველოში განმეორებით იმყოფებოდა. განმეორებითი ვიზიტების ყველაზე დიდი წილი აზერბაიჯანის რეზიდენტებს (89%) შორის დაფიქსირდა. საპირისპიროდ ევროპის ქვეყნების რეზიდენტების უმრავლესობა საქართველოში პირველად იმყოფებოდა.

მოგზაურობის ხანგრძლივობა და მიზანი

მოგზაურობის საშუალო ხანგრძლივობა ხუთი ღამეა. მეზობელი ქვეყნების რეზიდენტების საქართველოში ყოფნის პერიოდი საკმაოდ მცირეა, რუსეთის რეზიდენტებისგან განსხვავებით, რომლებიც საშუალოდ რვა ღამით რჩებიან საქართველოში.

საერთაშორისო ვიზიტების უმრავლესობა დასვენება, გართობა, რეკრეაციის მიზნით განხორციელდა (37%). სხვა ხშირად ნახსენები მიზეზებს შორისაა მეგობრებისა და ნათესავების მონახულება (26%), ტრანზიტი (17%), შოპინგი (9%) და ბიზნეს/პროფესიონალური ვიზიტები (4%). მხოლოდ ვიზიტების 7% იყო სხვა მიზეზებით.

განთავსების საშუალებები

ყველაზე ხშირად გამოყენებული განთავსების საშუალების ტიპი სასტუმრო იყო (43%). მესამედზე მეტი (34%) დარჩა მეგობრის ან ნათესავის კერძო ბინაში. სხვა ტიპის განთავსების საშუალებები ნაკლებად გამოიყენება საერთაშორისო ვიზიტორებს შორის, 10% სასტუმრო სახლი/ჰოსტელში დარჩა.

ვიზიტის დანიშნულების ადგილი

ვიზიტების 46% განხორციელდა საქართველოს დედაქალაქში, მას მოსდევს ბათუმი 41%-ით. სხვა დანიშნულების ადგილებს ვიზიტორთა უფრო მცირე რაოდენობა ესტუმრა. მათ შორის ყველაზე პოპულარულია მარნეული და ყაზბეგი 8%, სხვა დანიშნულების ადგილებია: რუსთავი (6%), ქობულეთი (6%), მცხეთა (5%), ქუთაისი (5%) და ბორჯომი (2%).

60%
ტურისტი

40%
ერთდღიანი ვიზიტორი

ძირითადი ინფორმაცია

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია შემომყვანი ტურიზმის კვლევის შემკვეთი ორგანოა. კვლევის მიზანია მთლიანი საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობის და მათი მახასიათებლების განსაზღვრა.

მონაცემების შეგროვება ხორციელდება პირისპირი ინტერვიუების ტექნიკის გამოყენებით. მეთოდოლოგია დაფუძნებულია მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებზე.

ინტერვიუები ტარდება 15 წლის და უფროსი ასაკის საერთაშორისო მოგზაურებთან, რომლებიც ტოვებენ საქართველოს ტერიტორიას. ინტერვიუები ტარდება თითოეული ტიპის სასაზღვრო გამშვებ პუნქტებში (აეროპორტი, პორტი, რკინიგზა, სახმელეთო საზღვარი).

მოგზაური არის ადამიანი, რომელიც მოძრაობს სხვადასხვა გეოგრაფიულ ლოკაციებს შორის ნებისმიერი მიზეზით და ხანგრძლივობით.

ვიზიტორი არის მოგზაური, რომელიც მოგზაურობას ახორციელებს დანიშნულების ადგილზე თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის გარეთ, ერთ წელზე ნაკლები დროით, ნებისმიერი მიზეზით (ბიზნესი, დასვენება, პირადი) გარდა დასაქმების მიზნით. ტურისტი არის ვიზიტორი, რომლის ვიზიტიც მოიცავს ღამისთევას ან არის ერთდღიანი ვიზიტორი სხვა შემთხვევაში.

მთავარი გამოსაქვეყნებელი ინდიკატორები მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ვიზიტის მიზანი და სიხშირე, გაჩერების ხანგრძლივობა, მონახულებადი ადგილი, განთავსების საშუალება, ინფორმაციის წყარო, თანმხლები პირები, ტრანსპორტის საშუალებები, ვიზიტის ორგანიზება, პოპულარული აქტივობები, კმაყოფილობის დონე.

დეტალური ინფორმაცია იხილეთ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ვებ გვერდზე: **www.gnta.ge**

ვიზიტის მთავარი მიზანი



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

განთავსების საშუალებები



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

საშუალო გაჩერების ხანგრძლივობა ქვეყნების მიხედვით

ქვეყანა	საშუალო ღამისთევა
რუსეთი	8
აზერბაიჯანი	4
სომხეთი	4
თურქეთი	2

წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

ტურიზმის ტიპები



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

პოპულარული ლოკაციები



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

შიდა ვიზიტორების მახასიათებლები, 2013

25%

თბილისი, ყველაზე პოპულარული დანიშნულების ადგილი

8%

ქუთაისი

8%

ბათუმი

2013 წელს შიდა ვიზიტების უმეტესობა საქართველოს მთავარი ქალაქების მიმართულებით განხორციელდა.

ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით შიდა მოგზაურების ტურისტული მახასიათებლები განსხვავებულია. 18-დან 24-წლამდე მოგზაურები ახორციელებდნენ ყველაზე მეტ 2.95 ვიზიტს წელინადში, მათგან განსხვავებით 55-64 ასაკის მოგზაურები საშუალოდ 1.7 ვიზიტს.

ვიზიტის ხანგრძლივობა და მიზნები

ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობა სამი ღამეა. თბილისის მკვიდრთა ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობა ყველაზე მაღალი ოთხი ღამე იყო, ხოლო სოფლის და სხვა ქალაქების მაცხოვრებლებისათვის ეს მაჩვენებელი მხოლოდ ორ ღამეს შეადგენდა.

შიდა ვიზიტების დიდი ნაწილი საქართველოს რეზიდენტებმა მეგობრების/ნათესავების მოსანახულებლად განახორციელეს (45%). დასვენება, გართობა და რეკრეაცია მოგზაურობის მთავარ მიზანს ვიზიტების 15%-თვის შეადგენდა, ხოლო ბიზნესი და პროფესიული საქმიანობა მხოლოდ 3%-მა დაასახელა. სხვა ხშირად დაფიქსირებულ ვიზიტის მიზნებს შორის შოპინგი (12%), მკურნალობა და გაჯანსაღება (9%) და მეორე სახლის მონახულება (4%) დაფიქსირდა.

ვიზიტის დანიშნულების ადგილი

ყველაზე ხშირად მონახულებული ადგილი თბილისი იყო (25%). მას მოჰყვება ქუთაისი და ბათუმი თითოეული 8%-ით. სხვა დანიშნულების ადგილებს შორის იყო: მცხეთა (4%), თელავი, ზუგდიდი, გორი და რუსთავი (2%).

რეგიონებს შორის ყველაზე პოპულარული ადგილი იმერეთი (17%), აჭარა (12%) და კახეთი (8%) იყო.

განთავსების საშუალებები

შიდა ვიზიტორების უმრავლესობა (63%) მეგობრის/ნათესავის ბინაში გაჩერდა. ეს ნაწილობრივ გამოწვეულია მეგობრების/ნათესავების მოსანახულებლად განხორციელებული ვიზიტების სიმრავლით. შიდა ვიზიტორების საკმარისად დიდი წილი (14%) დარჩა საკუთარ სახლში, ხოლო 8% აგარაკზე გაჩერდა.

ძირითადი ინფორმაცია

კვლევის დამკვეთი საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციაა, რომლის მიზანს შიდა ვიზიტების სტრუქტურის განსაზღვრა წარმოადგენს.

მეთოდოლოგია

მონაცემები დაფუძნებულია კვლევის შედეგებზე, რომელიც პირისპირი ინტერვიუს ტექნიკის გამოყენებით ჩატარდა. ქვეყნის მასშტაბით გამოიკითხა საქართველოს შინამეურნეობებში მცხოვრები 15 წლის და უფროსი ასაკის რესპონდენტები, რომელთაც ბოლო 1 თვის განმავლობაში განხორციელებული ჰქონდათ ვიზიტი საქართველოში.

შიდა ტურიზმი - საქართველოს ტერიტორიაზე რეზიდენტების მიერ მათი ბუნებრივი გარემოს ფარგლებს გარეთ განხორციელებული ვიზიტი. იმისათვის, რომ ვიზიტს მიენიჭოს შიდა ვიზიტის კლასიფიკაცია, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ერთდროულად ორ ლოკაციისა და რეგულარობის მეთოდს ეყრდნობა. კერძოდ, ბუნებრივი გარემოს უკეთ წარმოსაჩენად მნიშვნელოვანი ფაქტია შიდა ვიზიტი განხორციელდა თუ არა მუნიციპალიტეტის გარეთ. მეორე მეთოდი განსაზღვრავს კონკრეტულად ვიზიტის სიხშირეს, თუ შიდა ვიზიტორი სტუმრობს სხვა მუნიციპალიტეტს უფრო იშვიათად ვიდრე ორ კვირაში ერთხელ, ეს ვიზიტი არ განიხილება, როგორც რეგულარული.

ძირითადი ინდიკატორები

საცხოვრებელი ადგილი, ვიზიტის მიზანი და სიხშირე, ვიზიტის ხანგრძლივობა, მონახულებული ადგილები, განთავსების საშუალებები, ინფორმაციის წყაროები, თანმხლები პირები, სატრანსპორტო საშუალებები, ვიზიტის ორგანიზება, პოპულარული აქტივობები, კმაყოფილების დონე.

დეტალური ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ვებ გვერდზე: **www.gnta.ge**

ვიზიტის მთავარი მიზანი



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

განთავსების საშუალებები



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

45%

შიდა ვიზიტორები ყველაზე ხშირად მოგზაურობდნენ მეგობრებისა და ნათესავების მოსანახულებლად

ვიზიტის ხანგრძლივობა

რეზიდენტობა	ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობა
თბილისი	4
სხვა ქალაქი	2
სოფელი	2

წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

პოპულარული ლოკაციები



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

37, 317

საწოლების
რაოდენობა

განთავსების საშუალებების ბაზარი

ზღვისპირა რეგიონი აჭარა და სამცხე-ჯავახეთი დომინირებს საქართველოს სასტუმროების ბაზარზე. მთლიანობაში ქვეყანაში 1,065 განთავსების საშუალებაა 37,317 საწოლი ადგილით. ამ მონაცემებით ლიდერობს აჭარის რეგიონი.

სასტუმროებზე საწოლი ადგილების რაოდენობის 64% მოდის, მას მოსდევს საოჯახო სასტუმროები 17% და სასტუმრო სახლები 13%-ით. ბოლო პერიოდში ვიზიტორების რაოდენობის მკვეთრ ზრდასთან ერთად, საშუალოვადიან პერსპექტივაში აღინიშნება განთავსების საშუალებებზე მოთხოვნის გადაჭარბება მიწოდებაზე. მოსალოდნელია, რომ მოთხოვნის ზრდა განთავსების საშუალებების რაოდენობის გაზრდის საფუძველი გახდება.

თბილისში რამდენიმე საერთაშორისო ბრენდის სასტუმროა: Radisson Blue Iveria, Tbilisi Marriott, Courtyard Marriot, Sheraton Metekhi Palace, Holiday Inn და Citadines.

საქართველოს სასტუმროების ბაზარზე კიდევ რამდენიმე საერთაშორისო ქსელი აპირებს შემოსვლას. რაც შეეხება ბათუმს, იქ ახლახანს Sheraton-ისა და Radisson Blue-ს ბრენდის სასტუმროები გაიხსნა. ამასთან მიმდინარეობს ისეთი ცნობილი სასტუმროების ქსელის მშენებლობა როგორიცაა: Kempinski, Hilton, Holiday Inn, Ritz-Carlton, Marriott და სხვა. საერთაშორისო ბრენდის სასტუმროების გარკვეული რაოდენობა ასევე იწყებს ფუნქციონირებას საქართველოს სპა კურორტებზეც.

დაგეგმილი და მიმდინარე მშენებლობები

ამჟამად დაახლოებით 80 დაგეგმილი და მიმდინარე მშენებლობაა საქართველოში, მათ შორის ისეთი ცნობილი კომპანიების მიერ როგორიცაა: Radisson, Kempinski, Holiday inn.

მშენებლობების უმრავლესობა (88%) მიმდინარეობს თბილისში, აჭარაში, სამცხე ჯავახეთში, იმერეთში და კახეთის რეგიონში.

მშენებარე ოთახების რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 4,000, ადგილების კი 7,000 საწოლს.

განთავსების საშუალებების განაწილება



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

განთავსების საშუალებები ტიპებისა და რეგიონების მიხედვით



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

საწოლი ადგილების რაოდენობა რეგიონების მიხედვით



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

სექტორის მიმოხილვა

მიუხედავად მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისა, საქართველოში ტურიზმის სექტორი სწრაფი ტემპებით იზრდება. პროგნოზები საკმაოდ ოპტიმისტურია. მოსალოდნელია საერთაშორისო შემოსვლების, ტურიზმის სექტორში დასაქმებულთა რაოდენობისა და ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ზრდა, რაც საქართველოს მთავრობის და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის აქტიური მუშაობის შედეგად გახდება შესაძლებელი.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული აქტივობები მოიცავს: ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარებას, მომსახურების ხარისხის ზრდას, მასშტაბურ მარკეტინგულ კამპანიებს შიდა და საერთაშორისო ბაზრებზე, ახალი ბაზრების ათვისებასა და ტურისტული პროდუქტების განვითარებას.

ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება საქართველოს მთავრობის პრიორიტეტებში განიხილება. მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობს ახალი ტურისტული საინფორმაციო ცენტრების მშენებლობა.

მნიშვნელოვანი სამუშაო განხორციელდა მოგზაურობის გაადვილებისა და სავიზო სისტემის გამარტივების კუთხითაც. საქართველოს აქვს ცალხმრივი უვიზო მიმოსვლა უმეტეს ქვეყნებთან, მათ შორის არის: ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები, რომელთა მოქალაქეებსაც საქართველოში შემოსვლა მხოლოდ პირადობის დამადასტურებელი მოწმობით შეუძლიათ. აღსანიშნავია, რომ ვიზები ბევრი სხვა ქვეყნის მოქალაქისთვის გაიცემა საზღვარზე.

სერვისის ხარისხის ამაღლების მიზნით საქართველოს მასშტაბით ხორციელდება ინტენსიური ტრენინგები ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლებისთვის. ტურისტებისათვის ახალ მომსახურებებს შორის არის 24 საათიანი ცხელი ხაზი (#0800800909) და მობილური გიდების ჯგუფი.

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია აქტიურად მუშაობს ქვეყნის ცნობადობის ასამაღლებლად. ამ მიზნით ცნობილი ქართველები იყვნენ დანიშნული საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის წარმომადგენლებად დიდ ბრიტანეთსა და იაპონიაში.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ

2014 წელს საქართველო იკავებს მეხუთე ადგილს ტოპ 10 მოსანახულებლად რეკომენდირებულ ქვეყანას შორის

განხორციელებული სამუშაოები მოიცავს: სარეკლამო კამპანიებს შიდა და საერთაშორიო ბაზრებზე, პრეს და გაცნობითი ტურების ორგანიზებას, საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობებში მონაწილეობის მიღებას, ბეჭდური მასალის გავრცელებას, სოციალურ მედია მარკეტინგს და სხვა.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია არსებული ბაზრების შენარჩუნებასთან ერთად კონცენტრირებულია ახალი ბაზრების ათვისებაზე, მათ შორის განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებზე, რომლებსაც დიდი პოტენციალი გააჩნიათ. 2013 წლის განმავლობაში შვიდი პრეზენტაცია გაიმართა უკრაინაში, აზერბაიჯანში, ლიტვასა და ლატვიაში. ღონისძიებებს ესწრებოდა 600-ზე მეტი ტურისტული კომპანია და მედიის წარმომადგენელი. საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტაციამ უმასპინძლა სხვადასხვა ქვეყნის პრესის და გაცნობით ტურს. გარდა ამისა, ადმინისტრაციამ ორგანიზება გაუკეთა რვა ღონისძიებას სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე საქართველოს ფარგლებში.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია აქტიურად მუშაობს სხვადასხვა სახის ტურიზმის განვითარებაზე, როგორიცაა MICE, ღვინის, ეკო, სათავგადასავლო ტურიზმი და სხვა.

აღნიშნული პროექტების შედეგად 2013 წლის მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენციის ინდექსის თანახმად საქართველოს ტურისტული კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე 2011 წელთან შედარებით (73-ე პოზიცია) შვიდი პოზიციით გაიზარდა და 66-ე ადგილი დაიკავა 140 ქვეყანას შორის (ქულა: 4.10). ამას გარდა, „Rough Guides" თანახმად საქართველო მეხუთეა ტოპ 10 მოსანახულებლად რეკომენდირებულ ქვეყანას შორის და ისეთ ტურისტულად განვითარებულ ქვეყნების შემდეგ არის, როგორიცაა ბრაზილია და თურქეთი.

საქართველოს ჰქონდა წარმატებები საერთაშორისო ურთიერთობებშიც. 2013 წელს ხელი მოეწერა ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის შეთანხმებებს ექვს ქვეყანასთან (სან მარინო, უნგრეთი, პოლონეთი, სერბეთი, მონტენეგრო და ესტონეთი). საერთაშორისო ორგანიზაციებთან

სვანეთი

ანანური


თუშეთი

კაცხის სვეტი

აქტიური თანამშრომლობის შედეგად საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია არჩეულ იქნა მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ევროპის რეგიონალური კომისიის თანათავჯდომარედ და ტურიზმის სატელიტური ანგარიშების კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტად, ასევე საქართველო გახდა International Conference and Congress Association (ICCA)-ს წევრი.

ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიადა 2015

ევროპის ოლიმპიური კომიტეტის 39-ე გენარალური ასამბლეის სხდომაზე საქართველოს დედაქალაქი 2015 წელს გასამართ ევროპული ახალგაზრდული ოლიმპიადის მასპინძელ ქალაქად იქნა არჩეული. ფესტივალში 49 ქვეყნის წარმომადგენელი (4,000 ათლეტი) მიიღებს მონაწილეობას. დაგეგმილია ქალაქის სპორტული ინფრასტრუქტურის განახლება ევროპული სტანდარტების მიხედვით და ოლიმპიური სოფლის აშენება. მხოლოდ ამ ერთი ღონისძიების ფარგლებში თბილისი უმასპინძლებს 10,000 ვიზიტორს, საიდანაც უმრავლესობა გაჩერდება საშუალო კლასის სასტუმროში დანარჩენი კი მაღალი კლასის სასტუმროს აირჩევს. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს რომ თბილისში ამჟამად 6,207 საწოლი ადგილია (სასტუმრო სახლებისა და საოჯახო სასტუმროების ჩათვლით), აუცილებელი ხდება სასტუმროების მშენებლობაში ახალი ინვესტიციების ჩადება, რათა შეივსოს დეფიციტი მიწოდებაში.

უეფას სუპერთასი (UEFA Super Cup) 2015

უეფას აღმასრულებელმა კომიტეტმა თბილისს მისცა შესაძლებლობა უმასპინძლოს მეგა სპორტულ ღონისძიებას, უეფას სუპერთასს. თამაში ჩატარდება მიხეილ მესხის სტადიონზე ან დინამო არენაზე. ღონისძიებას დაესწრებიან ფეხბურთის გულშემატკივრები მთელი მსოფლიოდან.

საერთაშორისო შემოსვლები (UNWTO კლასიფიკაცია)

	2012	2013	ცვლილება %
ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა	2,541,032	3,390,455	33%
სომხეთი	921,929	1,291,838	40%
აზერბაიჯანი	931,933	1,075,857	15%
ბელორუსია	7,972	12,915	62%
ბულგარეთი	10,668	10,878	2%
ჩეხეთი	4,984	6,562	32%
ესტონეთი	4,366	3,721	-15%
ყაზახეთი	15,115	21,148	40%
ლატვია	5,693	6,336	11%
ლიტვა	5,319	5,647	6%
მოლდოვა	4,001	5,442	36%
პოლონეთი	20,563	36,946	80%
რუმინეთი	3,597	3,524	-2%
რუსეთი	513,930	767,396	49%
უკრაინა	76,610	126,797	66%
უზბეკეთი	5,852	5,738	-2%
სხვა	8,500	9,710	14%
ჩრდილოეთ ევროპა	26,211	30,167	15%
ფინეთი	2,236	3,331	49%
შვედეთი	3,714	4,182	13%
დიდი ბრიტანეთი	14,805	16,672	13%
სხვა	5,456	5,982	10%
სამხრეთ ევროპა	37,286	42,853	15%
საბერძნეთი	19,777	22,024	11%
იტალია	8,438	9,677	15%
ესპანეთი	3,758	4,723	26%
სხვა	5,313	6,429	21%
დასავლეთ ევროპა	56,617	66,661	18%
ავსტრია	4,737	5,758	22%
ბელგია	2,795	3,763	35%
საფრანგეთი	12,004	14,239	19%
გერმანია	26,448	30,815	17%
ნიდერლანდები	7,437	8,181	10%
შვეიცარია	3,009	3,695	23%
სხვა	187	210	12%
აღმოსავლეთ/ხმელთაშუა ევროპა	1,564,489	1,637,910	5%
ისრაელი	30,851	39,922	29%
თურქეთი	1,533,236	1,597,438	4%
სხვა	402	550	37%
კარიბი	497	568	14%
ცენტრალური ამერიკა	314	193	-39%
ჩრდილოეთ ამერიკა	31,697	30,214	-5%
კანადა	2,951	3,290	11%
ამერიკის შეერთებული შტატები	28,513	26,713	-6%
სხვა	233	211	-9%
სამხრეთ ამერიკა	1,390	1,618	16%
ჩრდილო-აღმოსავლეთ აზია	15,929	16,632	4%
ჩინეთი	9,995	8,830	-12%
იაპონია	3,447	4,513	31%
სხვა	2,487	3,289	32%
ოკეანეთი	2,229	2,838	27%
სამხრეთ აზია	97,925	93,043	-5%
ირანი	89,697	85,598	-5%
სხვა	8,228	7,445	-10%
სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია	7,904	9,136	16%
ფილიპინები	6,310	7,255	15%
სხვა	1,594	1,881	18%
შუა აღმოსავლეთი	17,141	63,063	268%
ეგვიპტე	2,596	9,103	251%
ერაყი	6,947	41,239	494%
საუდის არაბეთი	1,169	3,780	223%
სირია	4,020	3,291	-18%
სხვა	2,409	5,650	135%
აღმოსავლეთ აფრიკა	3,789	2,591	-32%
დასავლეთ აფრიკა	1,660	673	-59%
სამხრეთ აფრიკა	990	1,044	5%
ჩრდილოეთ აფრიკა	582	655	13%
ცენტრალური აფრიკა	89	61	-31%
სხვა ქვეყნები	20,450	1,928	-91%
სულ	4,428,221	5,392,303	22%

მადლობა

შინაგან საქმეთა სამინისტრო

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო,
საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი

GEOSTAT

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

GCAA

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

ISET

თსუ-ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა

Georgia

Country of life

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
სანაპიროს ქ. №4, 0105, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 32 2 436 999
ფაქსი: +995 32 2 436 085
E-mail: info@gnta.ge
www.georgia.travel
www.gnta.ge

2014

Georgia

Country of life

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

www.georgia.travel